სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-090301

ქ. თბილისი **03 სექტემბერი 2012 წ.**

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის (ბრძანება 02/76) დირექტორის მოადგილის დავით მაჭავარიანის სახით და მეორეს მხრივ, სპს „ჯაბა ნოზაძე ელიტა+“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯაბა ნოზაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2549 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც შეასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ერთი ცალი საზოგადოებრივი ტუალეტის (ჩხოროწყუ - პარკის მიმდ.) სამშენებლო სამუშაოების** შესრულება. (შესყიდვის დანაყოფი 45200000-სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, CPV 45215500 - საზოგადოებრივი ტუალეტები).

2.2 შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი აღწერა მოცემულია დანართი N1-ში (ხარჯთაღრიცხვა) და დანართი N2 (პროექტი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს **55 680.17 (ორმოცდათხუთმეტი ათას ექვსასოთხმოცი ლარი და 17 თეთრი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების ზუსტი ღირებულება გამოითვლება ფაქტიური შესრულებების მიხედვით.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს (მათ შორის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის ხარჯი) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: 2011 წლის 27 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N2549 განკარგულება.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

I ეტაპი-მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში "შემსყიდველი" ავანსის სახით გადაუხდის არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობისა, შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) კალენდარულ დღეში;

II ეტაპი-ეტაპობრივად, მიმწოდებლის მხრიდან შევსებული და შემსყიდველის მხრიდან ტექ. ზედამხედველის მიერ ხელმოწერილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტისა (ფორმა 2) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 30 კალენდარულ დღეში, შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10%-ის დაკავებით და წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ავანსის პროპორციული დაქვითვით, ამასთან ბოლო შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის შემდეგ „მიმწოდებელს" დაექვითება ავანსის თანხის დარჩენილი ნაწილი სრულად;

III ეტაპი-ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 7,5%-ის ოდენობით;

IV ეტაპი-დანარჩენი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმდებიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის შემდგომ 15 კალენდარულ დღეში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი სამუშაოების მიმდინარეობაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები (ტექნიკური ზედამხდველი).

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6 სამუშაოს შესრულების და მიღება-ჩაბარების პირობები

6.1 საზოგადოებრივი ტუალეტის სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2012 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ეტაპობრივად, მიმწოდებლის მხრიდან შევსებული და შემსყიდველის მხრიდან ტექ. ზედამხედველის მიერ ხელმოწერილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2)

წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტით.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) შემდგომ, აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებისათვის მიმწოდებელს განესაზღვრება ვადა არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა. მითითებული ხარვეზების გამოსწორება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულებიდან მიმართოს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით.

6.5 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7 პასუხისმგებლობა

7.1 . ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

9 საგარანტიო პირობები

9.1 მიმწოდებელის მხრიდან, მის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა ერთი წლის განმავლობაში.

9.2 საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

9.3 შემსყიდველის მიერ დაკავებული თანხა (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%) წარმოადგენს მიმწოდებლის მხრიდან შესრულებული სამუშაოების გარანტიის ფინანსურ უზრუნველყოფას.

9.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უარს განაცხადებს საგარანტიო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ამ ხელშეკრულების 4.4 პუნქტის IV ეტაპით გათვალისწინებული თანხის გადახდაზე.

10 ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული შესასრულებელ სამუშაოს ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.2 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11 ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

14 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16 გადასახადები და დაბეგვრა

16.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

16.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17 დამატებითი პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" მის: ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N5 სს „ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი კოდი: 220101480, LBRTGE22 ა/ა N GE77LB0113123325230012 ს/კ 412670097	სპს „ჯაბა ნოზაძე ელიტა+" მის: ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N28 სს ,,თიბისი ბანკი " საბურთალოს ფილიალი კოდი: TBCBGE22 ა/ა GE02TB7626536050100001 ს/კ 243868052
დავით მაჭავარიანი დირექტორის მოადგილე	ჯაბა ნოზაძე დირექტორი

დანართი N1

ჩხოროწყუში პარკში საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა.

№ ბ/ბ	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	
				განზომილების ერთეულზე	სულ
1	2	3	4	5	6
	I სამშენებლო სამუშაოები				
	მიწის სამუშაოები				
1	გრუნტის დამუშავება ხელით IIკატ. გრუნტში	კუბ.მ.	35.25	15.00	528.75
2	II კატ. გრუნტის უკუჩაყრა ხელით	კუბ.მ.	5.87	10.00	58.70
3	გრუნტის დატვირთვა ხელით ავტოთ. 29,38X1,75=	ტონა	51.415	7.00	359.91
4	გრუნტის ტრანსპორტირება 5კმ-ზე	ტონა	51.415	6.00	308.49
	საძირკველი				
5	ხრეშის საფუძვლის მოწყობა	კუბ.მ.	1.65	25.00	41.25
6	ბეტონის მომზადება სისქ. 10სმ ბეტონი „B7,5“	კუბ.მ.	1.580	100.00	158.00
7	მონ. რ/ბ ლენტური საძირკველი, ბეტონი „B15“	კუბ.მ.	8.80	155.00	1,364.00
	ა-I კლასის არმატურა	ტონა	0.0840	1,600.00	134.40
	ა-III კლასის არმატურა	ტონა	0.3932	1,600.00	629.12
	კონსტრუქციული ელემენტები				
10	იატაკის მონ. ბეტონის არმირებული ფილა ბეტონი „B15“	კუბ.მ.	2.70	155.00	418.50
	ა-III კლასის არმატურა	ტონა	0.1402	1,600.00	224.32
11	მონ. რ/ბ კოჭი , მკ-1 (2 ცალი) ბეტონი „B15“	კუბ.მ.	1.60	155.00	248.00
	ა-I კლასის არმატურა	ტონა	0.093	1,600.00	148.80
	ა-III კლასის არმატურა	ტონა	0.164	1,600.00	262.40
12	მონ. რ/ბ გულარები გულ-1 (5 ცალი) ბეტონი „B15“	კუბ.მ.	1.50	155.00	232.50
	ა-I კლასის არმატურა	ტონა	0.0475	1,600.00	76.00
	ა-III კლასის არმატურა	ტონა	0.092	1,600.00	147.20
13	მონ. რ/ბ გადახურვის ფილა 2.95 ნიშ; ბეტონი „B15“	კუბ.მ.	5.00	155.00	775.00
	ა-I კლასის არმატურა	ტონა	0.0482	1,600.00	77.12
	ა-III კლასის არმატურა	ტონა	0.3374	1,600.00	539.84
14	მონ. რ/ბ ზღუდარების მოწყობა ბეტონი „B15“	კუბ.მ.	0.25	155.00	38.75
	ა-I კლასის არმატურა	ტონა	0.0076	1,600.00	12.16
	ა-III კლასის არმატურა	ტონა	0.0175	1,600.00	28.00
	კედლები, ტიხრები				

1	2	3	4	5	6
19	კედლების წყობა წვრილი ბლოკით	კუბ.მ.	20.80	140.00	2,912.00
20	აგურის ტიხრები 1/2 აგურზე	კვ.მ.	24.90	35.00	871.50
21	ლამინირებული ტიხრების მოწყობა კარებით (4 ც კარი ზომით 0,7X1.7მ)	კვ.მ.	13.61	120.00	1,633.20
	კარ-ფანჯრები				
22	ალუმინის (რუხი ფერის) იზოლირებუ-ლი პროფილიანი ფანჯრების მოწყობა, მინაპაკეტი დაბურული შავი ფერის (4X24X6მმ)	კვ.მ.	3.82	400.00	1,528.00
23	ალუმინის (რუხი ფერის) იზოლირებუ-ლი პროფილიანი შესასვლელი კარის მოწყობა, მინაპაკეტი დაბურული შავი ფერის (4X24X6მმ)	კვ.მ.	7.260	400.000	2,904.00
	იატაკი				
24	იატაკზე 2ფენა ჰიდროიზოლაციის მოწყობა	კვ.მ.	21.60	10.00	216.00
25	პემზის ფენა სისქ. 50მმ	კუბ.მ.	1.080	60.00	64.80
26	იატაკზე ცემენტის მოჭიმვა სისქ. 30მმ	კვ.მ.	21.60	10.00	216.00
27	იატაკზე კერამიკული ფილების დაგება	კვ.მ.	21.60	35.00	756.00
	სახურავი				
28	ორთქლიზოლაციის 1 ფენა რუბეროიდით ბითუმის მასტიკაზე	კვ.მ.	23.40	8.00	187.20
29	სახურავის დათბუნება პემზის დაყრით	კუბ.მ.	2.808	60.00	168.48
30	ცემენტის მოჭიმვა სისქ. 20მმ	კვ.მ.	23.40	10.00	234.00
31	ჰიდროიზოლაცია ორი ფენა ლინოკრომის მოწყობა	კვ.მ	34.60	18.00	622.80
32	პარაპეტის გადახურვა თუნუქით	კვ.მ	7.10	20.00	142.00
	შიგა მოსახვა				
33	კედლების მობათქაშება ცემენტის ხსნარით	კვ.მ	96.6	10.00	966.00
34	კარ-ფანჯრების ფერდოების ლესვა	კვ.მ.	4.45	10.00	44.50
35	კედლების და კარ-ფანჯრ. ფერდოების მოპირკეთება მოჭიქული ფილებით	კვ.მ.	101.05	35.00	3,536.75
36	შეკიდული ჭერის მოწყობა	კვ.მ	21.6	19.00	410.40
37	ჭერის შეთეთრება	კვ.მ.	21.6	0.10	2.16
	გარე მოსახვა				
38	ფასადის კედლების ლესვა ცემენტის ხსნარით ფერდოების ჩათვლით	კვ.მ.	103.04	0.10	10.30
39	ფასადის კედლებზე ნაშხეფის დატანა რუხი ფერის მარმარილოს ნაფხვენით	კვ.მ.	31.44	3.00	94.32
40	ფასადის მოპირკეთება ნიჩბისის ქვით	კვ.მ.	71.60	90.00	6,444.00
41	პარაპეტის თავზე ნიჩბისის ქვის ფილების მოწყობა	კვ.მ.	6.56	90.00	590.40
42	ფასადის მოჩარჩოება	კვ.მ.	103.04	0.10	10.30
	სახვადასხვა სამუშაოები				
43	გრუნტში დატკეპნილი ხრეშის ფენა	კვ.მ.	38.50	10.00	385.00

1	2	3	4	5	6
44	ბეტონის საფუძველი ბეტ. "მ100"	კუბ.მ.	3.85	100.00	385.00
45	შენობის გარშემო ბეტონის დეკორატიული ფილების მოწყობა	კვ.მ	38.50	21.00	808.50
	I თავის ჯამი				32,954.82
	II შიგა წყალსადენი				
1	მილი პოლიპროპილენის Ø=25მმ	გრძ.მ.	10.00	4.00	40.00
2	მილი პოლიპროპილენის Ø=20მმ	გრძ.მ.	5.00	3.00	15.00
3	მილი პოლიპროპილენის Ø=15მმ	გრძ.მ.	30.00	2.50	75.00
4	ვენტილი Ø=25	ცალი	1.00	8.00	8.00
5	ვენტილი Ø=20	ცალი	1.00	7.00	7.00
6	ვენტილი Ø=15	ცალი	7.00	6.00	42.00
	II თავის ჯამი				187.00
	III შიგა კანალიზაცია				
1	მილი პლასტმასის Ø=150მმ	გრძ.მ.	5.00	15.00	75.00
2	მილი პლასტმასის Ø=100მმ	გრძ.მ.	15.000	9.00	135.00
3	მილი პლასტმასის Ø=50მმ	გრძ.მ.	20.000	5.00	100.00
4	სამკაპი 150X100	ცალი	1.00	12.00	12.00
5	სამკაპი 100X100	ცალი	5.00	10.00	50.00
6	სამკაპი 50X50	ცალი	5.00	6.00	30.00
7	ჯვარედი 150X150	ცალი	2.00	15.00	30.00
8	გადამყვანი 150X100	ცალი	1.00	12.00	12.00
9	გადამყვანი 100X50	ცალი	4.00	10.00	40.00
10	მუხლი α=90° Ø150	ცალი	1.00	6.000	6.00
11	მუხლი α=90° Ø100	ცალი	4.00	5.000	20.00
12	მუხლი α=90° Ø50	ცალი	7.00	4.000	28.00
13	მუხლი α=135° Ø50	ცალი	2.00	3.000	6.00
14	რევიზია Ø100	ცალი	2.00	18.000	36.00
15	უნიტაზის მოწყობა ჩამრეცხი ავზით	კომპლ	5.00	140.000	700.00
16	უნიტაზის ავტომატური გადასაფარებელი	ცალი	5.00	220.000	1,100.00
17	ინვალდთა ტუალეტის მოწყობილობა (სახელურები და სხვა)	კომპლ	1.00	200.000	200.00
18	პირსაბანის მოწყობა შემრევით და ბოთლოვანი სიფონით	კომპლ	5.00	140.000	700.00
19	პისუარის მოწყობა	კომპლ	2.00	100.000	200.00

1	2	3	4	5	6
20	თხევადი საპნის დისპენსერი	ცალი	5.00	20.000	100.00
21	ტუალეტის ქაღალდის დისპენსერი	ცალი	5.00	10.000	50.00
22	ხელსახოცების დისპენსერი	ცალი	5.00	37.000	185.00
23	სანაგვე	ცალი	5.00	10.000	50.00
24	დიდი სარკე სანათებით	ცალი	2.00	90.000	180.00
25	სარკე პატარა	ცალი	1.00	50.000	50.00
26	გამწოვი ცხაურას მოწყობა	ცალი	3.00	30.000	90.00
27	ტრაპი Ø=50მმ მოწყობა	ცალი	2.00	25.000	50.00
	III თავის ჯამი				4,235.00
	IV შიგა ელ. მომარაგება				
1	ყუთი შემყვანი ავტ.16ა	ცალი	1.000	30.00	30.00
2	საშტეფსელო როზეტი ორკონტაქტიანი ჰერმეტული შესრულების	ცალი	1.000	6.00	6.00
3	საშტეფსელო როზეტი ორკონტაქტიანი განმხოლოვებულ ტრანსფორმატორთან	ცალი	3.000	6.00	18.00
4	ამომრთველი ერთკლავიშიანი ჰერმეტული შესრულების	ცალი	10.000	5.00	50.00
5	სანათი ჭერის „პლაფონი"-ს ტიპის ჰერმეტული შესრულების	ცალი	12.000	11.00	132.00
6	ნათურა 60-100ვტ.	ცალი	12.000	2.00	24.00
7	განმაშტოებელი კოლოფი	ცალი	12.000	0.5	6.00
8	ППВС მარკის სადენი,სპილენძის ძარღვით, ფარული გაყვანილობის, კვეთით 2X1,5მმ²	გრძ.მ	65.000	2.0	130.00
9	გამშვები ავტომატი (აპარატი)	კომპლ	3.000	500.0	1,500.00
	IV თავის ჯამი				1,896.00
	V გარე წყალსადენი				
1	გრუნტის დამუშავება ხელით II კატ. გრუნტში	კუბ.მ.	30.00	15.00	450.00
3	მილი წყლის პოლიპროპილენის d=25მმ	გრძ.მ.	50.00	5.000	250.00
4	წყალმზომის ჭის მოწყობა (0,49მ³) თუჯის ხუფით	ცალი	1.00	400.000	400.00
5	წყალმზომი K-20 მოწყობა (იხ.პროექტი)	კომპლ	1.00	45.00	45.00
5.1	დისტანციური რადიო-გადამცემი	ცალი	1.00	1.00	1.00
6	რ/ბ წყალსადენის ჭის მოწყობა d-1200 h=1,3მ თუჯის ხუფით	კომპლ.	1.00	500.000	500.00
7	გრუნტის უკუჩაყრა ხელით	კუბ.მ	4.000	10.00	40.00
8	მიერთება არსებულ ქსელთან	ადგილი	1.000	100.00	100.00
	V თავის ჯამი				1,786.00
	VI გარე კანალიზაცია				

1	2	3	4	5	6
1	გრუნტის დამუშავება ხელით II კატ. გრუნტში	კუბ.მ	75.00	10.00	750.00
2	პლასტმასის მილების ჩალაგება თხრილში Ø=150მმ	გრძ.მ.	150.00	15.00	2,250.00
4	კანალიზაციის ჭა რ/ბ რგოლების Ø=1000 თუჯის ხუფით	ცალი	3.00	500.00	1,500.00
5	გრუნტის უკუჩაყრა ხელით	კუბ.მ	75.000	6.00	450.00
6	მიერთება არსებულ ქსელთან	ადგილი	1.000	50.00	50.00
	VI თავის ჯამი				5,000.00
	I÷VI თავების ჯამი				46,058.82
	ელ.ენერგიის ადგილზე მიწოდების საფასური (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008წ. სექტემბრის №21 დადგენილებაში (სსმ III, 22.29.2008, №140 მუხ.1382) 2011წ. 16 ნოემბერს შეტანილი	ადგილი	1	339.0	339.00
	ჯამი				46,397.82
	გაუთვალისწინებელი ხარჯი %		0%		-
	ჯამი				46,397.82
	ექსპერტიზის ხარჯი %		1.70%		788.76
	ჯამი				47,186.59
	დ.ღ.გ. 18%				8,493.59
	სულ				55,680.17

შემსყიდველი
შ.პ.ს. "საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია"

დავით ბაკაურიანი
დირექტორის მოადგილე

შემსყიდველი
"ს.პ.ს." ჯაბა ნოზაძე ელიტა+"

ჯაბა ნოზაძე
დირექტორი